№ 129

კვირა, 29 ივნისი 1897 წ.

1877 — 1897

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვ. | მან. კ. | თვ. | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| [illegible] | 8 — | 3 | 3 50 |
| 1 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 1 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

№ 129

კვირა, 29 ივნისი 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## კბილის ექიმი
## ვ. ი. ჭიჭინაძე

ნიკოლოოზის ქუჩა, 21 („ივერიის" რედაქციის ქვეშ). (7)

### პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი და შინაგანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულება დედ:ნ დათა სქესისა და ბავშვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**. — დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით,

**ი. ფ. პრიტასევიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულ მკერდისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. ბუგინოვი**. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავად მყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პრიტასევიჩი**. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. ბუგინოვი**. 5—6 საათ· ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ზ. ა. ნავასარდიანი**. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისდა ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

## ორიოდე სიტყვა ერობის შესახებ.

ჩვენის სამშობლოს ბუნება და მასთან ერთად მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებანი და ხასიათი იქამდის მრავალფეროვანი და სხვა-და-სხვაა, რომ ადამიანი უნებურად გაოცებული რჩება, როდესაც ესმის, რომ აქ ერის ბედს, ყველგან და ყოველ შემთხვევაში ქალაქებს გარდა, პოლიცია განაგებს.

ავიღოთ, რომელიც გნებავთ წოდება ჩვენის ერისა, რომელიც გნებავთ მხარე ჩვენის ცხოვრებისა, თვალი გადავავლოთ, რამდენად ნორმალურადა და სასურველად მიდის იგი წარმატებისაკენ და დავრწმუნდებით, რომ თუ ჩვენთვის საოცარია ველურობა ვინმე გვიკ...ნოს, უცხოელს ამის უფლებას ვერავინ გამოსწირავს. დავიწყოთ იმ წოდებიდგან, რომელიც მთელის რუსეთის შემამკობელად ითვლება. თავად-აზნაურობა, რომლის სამსახურიც ჩვენის ქვეყნის წინაშე ისტორიულად დიდი და განუზომელი ყოფილა, მასთან სიმდიდრითაც პირველი, დღეს თითქმის გაღარიბდა, მამულები ხელიდგან გამოეცალა და იცით რა დროიდგან? მას შემდეგ, რაც ბატონ ყმობა გადავარდა, სულ 30 წლის განმავლობაში. მართალია, თავად-აზნაურობას ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგაც მთავრობა დიდს დახმარებას უწევდა და დიდი უპირატესობა მიანიჭა შედარებით ყველა სხვა წოდებასთან, — დაუარსა ბანკი, სკოლები და სხ., მაგრამ ესეც ვერას გახდა და დღევანდელმა ჩვენმა თავად-აზნაურობამ აღარ იცის თავს რითი უშველოს, მამული რითი შეირჩინოს, როგორ გამოიყენოს; იგი ისევ ღარიბია და უფრო მეტად, ვიდრე უწინ, ისევ გაუნათლებელია, მეურნეობა ვერ გაუუმჯობესებია და ასე ნივთიერად, თუ გონებრივად ერთს დონეზეა გაჩერებული. ეს გარემოება ხომ თვით მთავრობამაც აღნიშნა ეხლა ხან. გლეხობა ხომ უარესს მდგომარეობაში ჩავარდა: ჯერ იყო, ბატონ-ყმობამ გააჩანაგა, ახლაა-და, გონებრივი სიბნელე, მრავალი სხვა-და-სხვა გარდასახადი, ზოგრგან მიწის უქონლობა და სიცოტავე (მაგალითად რაჭასა და იმერეთში, სადაც დღიური მიწა 1000—2000 მან. მეტად ფასობს) და სიღარიბე გლეხობას სულსა ჰხუთავენ. თუ უწინ ბატონი ყმას სწავლის ნებას არ აძლევდა, ახლა სამაგიეროდ ნივთიერი უკიდურესი მდგომარეობა ნებას არ აძლევს გლეხს, რომ შვილი გამოზარდოს, ან-ბანი მაინც არის ასწავლოს, და ეს ხომ უარესად გულ-დამწყვეტია! თუ უწინ გლეხი იმას სჩიოდა, რომ ჩემი მონაგარი ბატონისაა და მე-კი არა მრჩება-რაო (შედარებით მაინც უკეთ ცხოვრობდნენ მაშინ), ახლა სამაგიეროდ ათასი საჭირ-ბოროტო საქმე სხვა გაუჩნდა და წლიური სველი ლუკმა მაინც არა აქვს, დამშეულია, შიშველტიტველი.

ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი ერი, რომლის წარმომადგენელიც ეს ორი წოდება—თავად-აზნაურობა და გლეხობაა (სამღვდელოება არც იმდენად დიდია და არც ისე შევიწროებული), ყოველ მხრივ უკან ჩამორჩენილი და დაქვეითებულია. მაშ, თუ ასეა, ყოველსავე საკითხზედ აქ, ამ ორის წოდების, ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ პასუხი, თუ რამდენად ავად ან კარგად მიდის მათი ცხოვრება. რომ მეტად დაწვრილებითი და გრძელი ანგარიში არ დაგვჭირდეს, რაც ეხლა შეუძლებელია, მკითხველის ყურადღებას შემდეგს გარემოებას მივაქცევთ.

ყოველ-დღიური და წლითი-წლობითი ჩვენის დაბა-სოფლების ამბები, რომლებსაც ქართული მკითხველი მუდამ ჰპოვებს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, მთლად ჩვენის ცხოვრების ვრცელს სურათს წარმოადგენს. გაისმის ერთი შეუწყვეტელი ჩივილი, რომ სოფელს სატრონი და გულ-შემატკივარი არა ჰყავს სწავლის სურვილი აქვს, მოთავე არა ჰყავს, რო კოლა დაუარსოს, მთავრობას-მ თან იშუამდგომლოს; ცხვარი ჰყავს, — მატყლი და ყველი ვერსად გაუტანია და ჩალის ფასად აძლევს ადგილობრივ ვაჭრებს; აბრეშუმი მოჰყავს, სალი თესლი იშვიათად შეჰხვდება, რომ შრომამ შესაფერი ნაყოფი მისცეს, შემდეგ რიგიან ფასად გაჰყიდოს; ვენახსა და ხეხილს სენი გაუჩნდება, ცოდნა არა აქვს, დროზედ უწამლოს; მოიხვეჭს რასმე, ნახევარ ფასად იმავე ვაჭრებს უნდა ჩაუგდოს ხელში; არ იცის მეპაღეობა, რომ მამულს მეტს სარგებლობას

---

# ფელეტონი

## აკროსტიხი

(ვუძღვნი ქეიფის მოყვარულთ)

ვიშ მწვანე მდელოს მაისისას, ვიშ ჰაერს სუფთას!
უცხოდ ჰშვენიან გარს ყვავილნი, ამ ქართულს სუფრას!..
მნათობო! მათზე დაჰბრწყინვალებ, ვითარ „ციალი",
შენს სადღეგრძელოს რად არ დავ-ლევ შენი ტრფიალი,
გინდ სიცოცხლესაც მომისპობდეს სავსე ფიალი.

**

კმარა სიცოცხლედ ჩემთვის, ოღონდ მითხარ ეს სიტყვა:
„აჰა, ნექტარი სიცოცხლისა, შესვი, გეთაყვა,
ტრფობისა ჯილდოდ მომიძღვნია შენ-თვის ეს ხალი!"
ოჰ! სადღეგრძელოს რად არ დავ-ლევ შენი ტრფიალი,
გინდ სიცოცხლესაც მომისპობდეს სავსე ფიალი.

**

ნუ იჰვობ, სატრფოვ, ჩემს სიცოცხლედ ნამდვილ შენ გხადი,
ირწმუნე, მსხვერპლად სიყვარულის ვარ განამზადი,
კრძალვა იკმარე, მომანიჭე წყალობის თვალი.
ოჰ! სადღეგრძელოს რად არ დავ-ლევ შენი ტრფიალი,
გინდ სიცოცხლესაც მომისპობდეს სავსე ფიალი.

თ. ნიკ. ვეზირიშვილი

## „გმადლობ, უფალო, გმადლობ!.."

ეტიუდი

(ვუძღვნი ნინოს)

— გმადლობ, უფალო, გმადლობ!.. სიხარულისაგან ლამის გადავირიო... მადლობის გადახდა ვერც კი მომიხერხებია.

„ღმერთო, ღმერთო, რითი დავიმსახურე შენი ყურადღება, რომ... რომ ღირსი გამხადე, რჩეულად მყავი და... ახ, გმადლობ, უფალო, გმადლობ!.. ადამიანის სული, გული, აზრი... ღმერთო, გულთა-მხილავი ვარ!.. ადამიანის გული ჩემთვის დაფარული აღარ არის!.. სულ ულრმესი, მისთვისაც-კი დაფარული და უჩინარი, თვალ-წინ გადამეშლება, გონების თვალი ელვასავით სწრაფ გაიკლაკნება ადამიანის გულის უფსკრულ ადგილებში და ყოველივე საიდუმლოებას, საიდუმლოთა საიდუმლოებას... გმადლობ, უფალო, გმადლობ!..

„აგერ ის მხევალი!.. ბედ-შავი, რა დაღონებული შემოვიდა შენს წმიდა ტაძარს!.. ფეხები უკან ჰრჩებოდა. ვერა ჰბედავდა შემოსვლს.ა თავისი საქციელი ჰქეჯნის, ბავშვს დასრულება არ დააცადა, ძალად დაჰბადა და, უჰ, წყალში გადააგდო!.. საზიზღარმა მოატყუა, შეაცდინა და... აგერ, საწყალი, როგორ მდუღარეს აფრქვევს: „შემინდევ მე, უფალოო!.." — გეხვეწება უსიტყვოდ.

„აპატიე, უფალო, აპატიე!.. გამოუცდელი იყო. საზიზღრის ცრუ სიტყვები სიმართლედ მიიღო და...

„იმ საზიზღრისთვისაც ჰლოცულობ?!. გინდა იმასაც აპატიოს უფალმა?!. ახ, რა კეთილი არსება ჰყოფილხარ!..

„ღმერთო!..

„რაა?!. პატიებას-კი არა, სამაგიეროს გადახდას ეხვეწები?!. სთხოვ უფალსა, დასტანჯოს, არ მოასვენოს?!. შეგაძლებინოს, შენის ხელითვე ჯავრი ამოიყარო?!.

„ახ! მე-კი მეგონა იმასაც ავედრებდი უფალს! ეხლავე სიძულილი, სამაგიეროს გადახდა!.. როდის-ღა იქმნება შენი გული თავისუფალი მაგ სენისაგან, თუ-კი ეხლავე ნიადაგს აძლევ?!.

„მაგრამ გეპატიება, ადამიანი ხარ. მოგატყუეს და შენც...

„ზარსა ჰრეკენ!.. დღეს ბედნიერი დღეა. მრავალი მოაწყდება, ეკკლესია არც-კი დაიტევს. აგერ იქ, გალავნის კუთხეში, დავდგები. იქიდგან არავინ გამომეპარება. მე-კი ვერავინ დამინახავს. ყველას გული, ოხ, ღმერთო, წინ გადამეშლება!.. გმადლობ, უფალო, გმადლობ!.. მე... სსს!.. მოდიან კიდეც!.. აგერ დედაბერი ყავარჯენის ბჯენით მიუახლოვდა ეკკლესიის დავიხოცებით ...

გადიწერა... ოი, ოი, მოხუცო მანდილოსანო!.. თითქოს ღვთის-მოსავ ადამიანის სახელი გაქვს მოხვეჭილი! პატიოსანისა და მართალის ადამიანის ჯილა დიდი ხანია საზოგადოებამ თავს დაგადგა... მაშ გიცრუვია. საზოგადოებისთვის თვალები აგიხვევია... ღმერთო, რა გაიძვერად უმოქმედნია!.. აი, ეხლაც, წმიდა ადგილას, შენ წინაშე სცრუობს!.. არ გინდა მოხუცო სიბერის დროს მაინც გულ-წრფელი იყო და ქვეყანას არ ატყუებდე?! პირ-ჯვარს იწერ, სიტყვებს გაიძახი,ბ გული-კი, ოი, საით გაგირბის?!. შედექ, შედექ!.. ღირსი არა ხარ მანდ... არ გამიგონე და შეხვედი?!. შენი სისაძაგლე არ დამავიწყდება, შენ...

„ოხ, რა დაღონებული, რა სათნოებით სავსე მოდის!.. მშვენიერო არსებავ!.. თითით საჩვენებელი ხარ, შენი სიკეთე, ზნეობის სიმტკიცე, სიფაქიზე სამაგალითოდ გამხდარა. მშვენებავ, რამდენი შენს მეუღლეზედ უკეთესი შენის სიმშვენიერით გადარეული უნუგეშოდ გაგისტუმრებია? რამდენი თაყვანის-მცემელი ოხრავს და ვერგაუბედნია თავისი გრძნობო გამოგიმჟღავნოს?! ახ, რა ბედნიერია შენი მეუღლე!..

„რანაირად გეძნელებოდა გუშინ მეუღლის გასტუმრება?! გამხნევებდა. „ერთ თვეზედ დავბრუნდებიო", მაგრამ მაინც გეძნელებოდა განშორება. გული თან გააყოლე. ერთი თვე საუკუნოდ მიგაჩნდა. ნეტარი! რა დამშვიდებული წავიდა. ან-კი რად უნ და ედარდნა, როდესაც შენი სიფაქიზე სწამს?!. იცის, შენ სახელს, ოჯახს არ შეუბღალავ.

„აი, ეხლაც მოსულხარ, რომ შეავედრო უფალს იგი. „ნუ სწუხარ, ნუ!.. ის... მაგრამ — რას ვხედავ?!. ვინ ის?! განა ეხლა მეუღლეზედ არა ჰფიქრობ?!. განშორება კიდევაც გიხაროდა?!.

„ოი, წყეულო თვალთ-მაქცო!.. შედექ, შედექ!.. სხვისთვის გიცემს გული?!. მოტყუებულო, მეუღლევ!.. აი, შენი გულ წრფელი გრძნობა!..

„არ შეხვიდე, შე მატყუარავ, არა!.. შენი ადგილი...

„ოხ, თქვენ ხომ შეყვარებულები ხართ?!. ბედნიერებო, ერთმანეთისთვის გიცემთ გული. სული და გული გაგიერთებიათ.

„კარგია თქვენ შემოხვედით იმ წყეულის შემდეგ. დამამშვიდეთ. თუ ეს აქ ატყუებს, არც ის დააკლებს იქ. ორივეს ერთმანეთისა სწამთ. ორივენი-კი ერთმანეთს ატყუებენ. ღირსნი არიან ორივენი ერთმანეთისა, თქვენ კი...

„სულ სხვაა თქვენი კავშირი. ძლივას გაჰბედეთ ერთმანეთისთვის გაგემჟღავნებინათ თქვენი გულის ცემა. სულ ერთი კვირაა მას აქეთ. გინდათ სამუდამოდ ერთად იყვნეთ?! კიდეც მაგაზედა გაქვთ ლაპარაკი ოხ, რა გრძნობით განმსჭვალულა თქვენი თვალები. თვალებით გინდათ ერთმანეთი სჩანთქათ, რომ ერთ არსებად გარ-

გამოჰრჩეს; არა ჰყავს კარგის ჯიშის საქონელი და ვერც თუ შეუძენია, ხელი არ მიუწვდება; არ იცის მისს მამულში რა სიმდიდრე ჰმარხია და როგორ შეუძლიან მოიხმაროს; არ აქვს გზები, ხიდები; არ იცის წლის მოსავალი როგორ ჰყოს უზრუნველი, რომ მოულოდნელმა სეტყვამა და ნიაღვარმა მთლად ცალიერზედ არ დასვას ხოლმე მთელი სოფელი; არა აქვს კრედიტი (გლეხობას), რომ ჩარჩ ვაჭრებისაგან მამასისხლად არ ივალოს მამულის შესამუშავებლად საჭირო ფული და ზედ არ გადაეგოს ამ ვალს; არ იცის რა, როგორ და რანაირად იღონოს სხვა-და-სხვა გადამდებ სენისა და საქონლის ჭირის წინააღმდეგ; მამულს ისევ ძველებურის მამა-პაპურის წესითა და ჩვეულებისამებრ ამუშავებს, მაშინ როდესაც პატრონი და წინ გამძღოლი, მრჩეველი რომ ჰყავდეს, ერთისა და იმავე ხელით მუშა ათ-გზის მეტს გააკეთებდა, მეტს შეიმუშავებდა.

ყველა ამისათვის-კი, მეთაურის უქონლობისა და უზრუნველობის გამო დღეს მეურნეობის სრულიად უვიცნი, სოფლის საჭიროებათა ძნელად მიმხვედრნი, ჰზრუნავენ;

ერთი მადლიანი დაწესებულებათაგანი, რომელიც-კი შესძლებს ამ საჭიროებათა შეგნებასა და მათ დასაკმაყოფილებლად საშუალებათა გამოძებნას,—ერობაა, რომლის მოქმედებაც მთელმა რუსეთმა დააფასა, რომლის შრომამა და თავ-გამეტებით მოღვაწეობამაც რუსეთის მძიმე ერს, სუსტს, მკაცრს ბუნებას სიცოცხლე ჩაუდგა, რომლის წარმომადგენელნიც, ერის გონებრივად და ქონებრივად წინ წასაწევად სამოქმედოდ გამოსულნი, მთელის რუსეთის საუკეთესო და სამაგალითო კაცებად გარდიქმნენ. რუსეთს რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ერობა არ შემოეღო და მისი მეურნეობა, მისი განათლება, მისი მრეწველობა ისევ ადგილობრივის ადმინისტრაციის ხელში დარჩენილიყო, დღეს ჩვენზედ უარესს მდგომარეობაში იქმნებოდა. მაგრამ დროზედ შეიგნეს ეს აუცილებელი საჭიროება და ერობათა სასარგებლო მოღვაწეობამ ის ნაყოფი მოიტანა, რომ ბევრს მათგანს დღეს ათასობით სკოლა აქვს, აქვს ბანკები, სამეურნეო იარაღის საწყობები, სამკითხველო-წიგნთსაცავები, საავადმყოფო-აფთიაქები, ექიმები, ჰყავს ხალხი, რომელიც ბუნებრივს სიმდიდრეს ეძებს; გზები გაჰყავთ, ხიდებს აგებენ და საზოგადოდ ყოველს საჭიროებას, რომელსაც კი ერისათვის მნიშვნელობა აქვს, გზასა და საშუალებას უძებნიან. აქ ჩვენს ახალგაზდობასაც, რომელიც „კანცელარიებში“ 25 მანათიან ადგილებზედ არის და ხშირად-კი უმაღლესს სასწავლებელში სწავლადამთავრებული უსაქმობისა გამო, რამდენისამე წლის განმავლობაში უაზროდა და უქმად ატარებს დროს, დიდი სამოქმედო ასპარეზი ეძლევა: ექიმი, მეთალი, იურისტი, ინჟენერი, ხუროთ-მოძღვარი, ტეხნიკოსი, აგრონომი, ბუნების-მეტყველი, თუ პედაგოგი, ყველა საქმესა ჰშოულობს, საქმეს ნაყოფიერს, რომლის მგავსსაც ქალაქში არასოდეს არ ეღირსება ვერ ჰპოვებს.

რომ უბრალოდ დრო არ დავაკარგვინოთ მკითხველს მრავალის მაგალითის ჩამოთვლით, აქ მხოლოდ ერთს ერობასა და მისს წარმომადგენელს დავასახელებთ. 1880 წლ. 1890 წლ. ვიატკის ერობაში ერობის თავმჯდომარის ვოდოვოზოვისა და ბატუევისმ ოღვაწეობა,—მეტადრე ამ უკანასკნელისა, რომელიც სულ ახალგაზდა—30 წლისა—იყო, სამაგალითო რამ არის. სულ რამდენისამე წლის განმავლობაში ერობამ 600 პირველ დაწყებითის სკოლისათვის გადასდო თანხა, ამათგან 200 უკვე დაიარსა, 3,000 სამკითხველო გაჰმართა სხვა-და-სხვა ადგილას და 50 ათასი მანათი გადასდო იმ აზრით, რომ ამ ფულის სარგებლით ხალხს უფასოდ წიგნები დაჰრიგებოდა, სახალხო კითხვები გაემართნათ ბუნდოვანის სურათებით; დააარსა საგუბერნიო წიგნთსაცავი, რომელსაც თავისი განყოფილებები აქვს ყოველსავე მაზრაში; დააარსა გაზეთი და სხ. არა ნაკლები სარგებლობა მოუტანა მეურნეობასა და ხალხის ნივთიერად წინ წაწევას; სხვა-და-სხვა ადგილას სახელოსნო და სამეურნეო სკოლები დააარსა, ფერმები გააშენა, გლეხებს ცხენები უყიდა იმ პირობით, რომ შემდეგ წვრილ-წვრილად გამოესყიდნათ, ვაჭრობასა და მრეწველობას ხელს უწყობს და სხ. ერობას თავისი „სამეურნეო-სამრეწველო გაზეთიცა“ აქვს, რომელსაც 5,000 ეგზემპლიარს მუქთად უგზავნის მემამულეებს.

ნუ-თუ ესეთი სამაგალითო მოღვაწეობა მართლაც მისაბაძი არ უნდა იყოს ყოველის ახალგაზდისათვის, რომელსაც-კი ერისათვის გული შესტკივა, აზრად აქვს ქვეყანას რითიმე გამოადგეს?

აი, ეს მრავალგვარი საჭიროება ჩვენის ქვეყნისა და მისი ბუნებრივი მდებარეობა, რომლის მგზავსიც რუსეთში არც ერთი ადგილი არ მოიძებნება, მით უმეტეს საჭიროდა ჰხდის, რომ ჩვენში ერობა იქმნას შემოღებული და ყოველს საქმეს: მეურნეობა იქნება იგი, ხალხის განათლების საქმე, სხვა-და-სხვა მრეწველობა, თუ ვაჭრობა, უთუოდ თვით ერისავე წარმომადგენელნი უწევდნენ ჭირისუფლობას და არა ზემოდ აღნიშნული მოხელენი, რომელთაც არც მომზადება და არც ძალა ამისი არ შესწევთ. მხოლოდ მაშინ შეიძლება ყოველსავე დარგს დღეს მიძინებულის უფერულის ჩვენის ცხოვრებისას სიცოცხლე დაეტყოს; მხოლოდ მაშინ იქმნება ჩვენის ახალგაზდობისათვისაც მადლიანი ნიადაგი სამოღვაწეოდ. ვისურვოთ, რომ ეხლა მაინც დაბრკოლება არაფერში აღმოუჩნდეს ხსენებულს დაწესებულებას, თორემ რაც დღე გავა და დავაგვიანებთ, მით უფრო დავქვეითდებით, მით უფრო დავშორდებით გონივრულს ცხოვრებას.

ინ-ანი.

---

მთავრობის განკარგულებანი

**ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ**

(შემდეგი *)

§ 53. ანგარიშისა და ბალანსის განსახილველად, თუ რამდენად სწორედ არიან იგინი შედგენილნი, საზოგადო კრება ერთის წლით ადრე სამისა ან ოთხის წევრისაგან სარევიზიო კომისიას ირჩევს, რომელნიც არც გამგეობის წევრნი უნდა იყვნენ, არც საზოგადოების საქმეთა მმართველში იღებდნენ მონაწილეობას. ხსენებული კომისია მომავალის წლიურის კრების ერთი თვით ადრე უთუოდ უნდა შეიკრიბოს, ანგარიში და ბალანსი გადასინჯოს, რევიზია უყოს, წარსულის წლის ყველა საწარმოებელი წიგნები, ანგარიშები, საბუთის ქაღალდები და დამატებანი განიხილოს, გასინჯოს აგრეთვე გამგეობისა და საზოგადოების განყოფილებათა საქმის წარმოება და თავისის განმარტებითა და შენიშვნებითურთ ანგარიში და ბალანსი საზოგადო კრებას წარუდგინოს, რომელიც დაამტკიცებს მას. კომისიას უფლება აქვს, თუ მოისურვებს ან საზოგადო კრებას მაინდობს, საზოგადოების მთელს ქონებას რევიზია უყოს ადგილობრივავე, განიხილოს, რა ოპერაციები ჰქონია წლის განმავლობაში, ან ამ ქონების შენახვაზედ რა ხარჯი ჰქონია და სხ. ერთი სიტყვით, კომისია ვალდებულია ყოველივე შეიტყოს და გამოიკვლიოს, თუ რამდენად სარგებლის მიმცემი და დროითი უფიდა საზოგადოების მიერ დაჭერილი გაჭრობა, რა ალებ-მიცემობა ჰქონია. ზემოდ აღნიშნულის აზრის მისაღწევად გამგეობამ კომისიას უოკლებარი დახმარება და საშუალება უნდა აღმოუჩინოს და ხელი მოუმართოს. იმავე კომისიამ უნდა განიხილოს მომავალის წლისათვის შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა და გეგმა მოქმედებისა და შემდეგ განხილვისა თავისის განმარტებით საზოგადო კრებას წარუდგინოს დასამტკიცებლად. გარდა ამისა კომისიას უფლება აქვს გამგეობას საგანგებო საზოგადო კრების (§ 28) მოწვევა დაავალოს, თუ მისის აზრით ეს საჭირო იქმნება.

შენიშვნა. საზოგადოების საქმეთა რევიზია შეიძლება ადგილობრივის გუბერნატორისა (ან ქალაქის უფროსის) განკარგულებითაც მოხდეს, თუ რომ შენიშნული იქმნება, რომ საზოგადოებაში რამე უწესოება ხდება, ან წესდებას არღვევენ.

§ 54. საზოგადო კრების მიერ დამტკიცების შემდეგ, წლიური ანგარიში და ბალანსი სამეგზემპლიარად შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამ ეურნეო დეპარტამენტსა და ადგილობრივს გუბერნატორს (ან ქალაქის უფროსს) უნდა წარუდგინოს. გარდა ამისა, თუ საზოგადო კრება მოისურვებს, შეიძლება

*) იხ. „ივერია“, № 128.

---

დიქმნეთ... ბედნიერებო, შედით, შედით! უფალი აკურთხებს თქვენს გრძნობას, გულ-წრფელს გრძნობას... სულ ცოტა ხნის შემდეგ მანდვე ერიც იქმნება მოწმე თქვენის შეუღლებისა. შედით, შედით!.. თქვენისთანებისთვის არის ეგ წმიდა ტაძარი და არა იმ...

„მო...ი.. ცადეთ, მოიცადეთ!.. თქვე... „ნუ თუ თქვენც საჰავეშივ დაიწყეთ ცბიერება?!. რად, რად ატყუებთ, ერთმანეთს?!. ვინ გატანთ ძალას?!. რატომ გულ-ახდით არ უამბობთ ერთმანეთს გუშინდელს ამბავს?!. ხომ არც ერთს ერთმანეთი არ გახსოვდათ გუშინ, როდესაც სხვა-და-სხვებთან იყავით?! შედექით! არ შეხვიდეთ, ვიდრე ერთმანეთს გულ-ახდით არ უამბობთ გუშინდელს ამბავს?!. ეხლავე ნუ დასდგომიხართ სიცრუეს, ნუ, ნუ!.. ახ, არ გინდათ, მომისმინოთ?!. მაინც სცრუობთ და... ახ, ერთმანეთისა რაღად გჯერათ... ნუ თუ ვერა ჰხედავთ ერთმანეთის სიტყვების უშინაარსობას?!. შედექით!.. შე...დე...ქით!..

„კეთილო მწყემსო!.. შედი და შენის მჭევრ-მეტყველობით, შენის გულ-წრფელის სიტყვით გამოსდევნე ყველა. მანდ ყოფნისა არც ერთი ღირსი არ არის. არც ერთი არ მოსულა სალოცავად. ყველა გამოსდევნე, შედი, შედი, ნუ ყოყმანობ! ხომ კეთილი ხარ? ხომ შენი სიკეთე, გულ-წრფელი მოქმედება ქვეყანამ იცის?! ხომ გრწამს კიდეც, გულ-წრფელად ემსახურები შენს ერს? აგერა, როგორ გეხვევა ხალხი?!. ყველა მოწიწებით შემოგცქერის... მაშ...

„მოიცა, მოიცა!.. შენ... ღმერთო!.. ნუ თუ ესეც, ესეც... შევიდა კიდეც. თან ბრბო შეჰყვა... მისდევს... ქალი, კაცი, დიდი, პატარა, ერთმანეთს მოება. აგერ, აგერ მოეშურება ყველა მანდ!.. თან მოაქვს, გულ-წრფელობის გარდა, ყველაფერი. რა გვარი სისაძაგლე არ არსებულა ადამიანის გულში!.. ღმერთო, შენ ხომ ჰხედავ ყველაფერს, შენ ხომ..

„ოხ, პატიოსანო არსებავ, მოხვედი?!. გულ-წრფელო, მამულიშვილო?.. უკანასკნელად შენ მოხვედი. ნუ შეხვალ მანდ. ყოველმა სისაძაგლემ მანდ მოიყარა თავი. უმწიკვლო ხარ. მაგათთან ერთად არ უნდა იდგე, არა. შენი მოღვაწეობა, შენი გულ-წრფელი, თავ დადებული მოქმედება გამოისყიდის მთელის ერის უნდომლობას, გაუტანლობას. იყავ კელაპტრად. კეთილო, მამულიშვილო, შორს დადექ! ნუ შეუერთდები მაგ სისაძაგლის მორევს, ნუ! შედექ, შედექ!..

„უანგარო მოღვაწევ, შედექ! მინდა გიმზირო, მინდა შენის მზერით დავტკბე და თავი ვინუგეშო. იქნება აგერ იქ მოთავსებული სისაძაგლე დამავიწყდეს და დავმშვიდდე!.. შე... შედი, შედი!.. არ შესდგე, შე საზიზღარო, თვალთ-მაქცო, ბილწო!.. ყველაზედ საზიზღარი შენ ჰყოფილხარ, ყველაზედ..

„ახ, ღმერთო, სადღაა, სად მოვძებნო წმიდა გრძნობა, წრფელი და უანგარო, როდესაც უწმიდესის საგნის სახელითაც ასე სარგებლობენ, როგორც ეს უმგზავსი?!.

„ახ, რა დიდის ამბით, რა გრძნობით ახსენებ ხოლმე წმიდა სამშობლოს!.. ღმერთო, ნუ თუ შესაძლებელი ყოფილა მაგრე ხელოვნურად თვალები აუხვიოს საზოგადოებას და დაჰფაროს ადამიანმა ნამდვილი მოძრაობა გულისა?!.

„რაღას ჰყოყმანობ და არ შეხვალ შე საზიზღარო?!. შედი, შედი და ყველაზედ წინ წარსდექი შეუერთდი იმათ და ატყუე, ატყუე, ვიდრე... ღმერთო, რად აბოგინებ ამათთანას?!.. რატომ...

„ოხ, თქვენ მაინც იყავით მაგრე. მუდმივ ეგ წრფელი გრძნობა გაკავშირებდეთ... აი, ვერ მხედავთ, რა სიხარულით ვეგებები თქვენს წმიდა, წრფელს გრძნობას იმ საზიზღარის შემდეგ?!. ერთმანეთისათვის თქვენ თავს გასწირავთ; გიყვართ ერთმანეთი მეგობრულად. მეგობრები ხართ!.. შამომხედეთ, მეც თქვენთან ერთად ვხარობ. ღმერთო, გმადლობ, რომ კიდევ ყოფილა ადამიანში წრფელი გრძნობა!.. აი, ესენი... შედექით-კია!.. ნუ მიხვალთ იქ. შე...

„შედით, შედით!.. თქვენც, თქვენც ორგულობთ, ერთმანეთს ატყუებთ?!. მოიგონეთ გუშინდელი ამბავი, როგორ ჰკილავდით ერთმანეთს სხვებთან, როგორ დასცინოდით ერთმანეთს რომ თქვენი პიროვნება ამით აგემაღლებინათ?! ახ, საზიზღრებო, აღარც-კი გრცხვენიათ, ერთმანეთს ეგრე ღიმილით ეგებებით და შეყვარებულებსავით მიჰლაპარაკობთ!!.. ფუი, ფუი, თქვე... შედით, შედით!...

„ღმერთო!.. რაღა დარჩენია?!.. უფალო, შეარყიე ტაძარი, შემუსრე მისი მკვიდრი კედლები, როგორც შიგ მყოფთ შემუსრეს ყოველი ადამიანური გრძნობა და...

„უფალო, უფალო!.. ნუ თუ აღარავინ დარჩა?! ერთი, ერთი ადამიანი მაინც ვნახო, რომელსაც თავისი თავი არ გაეღმერთებინოს და გულწრფელად მოქმედობდეს!... ღმერთო,...

„რაგინდა აქ!!. წადი, წადი!..დედი, დედი ერთ ნაბიჯსაც ნულარ წარმოსდგამ!.. წადი, დაიმალე!.. ახ, არ გეყურება, წადი?.. ღმერთო, ღმერთო, ნინოც თან მოჰყავს, ჰა, ჰა, ჰა!...

„დედი, შეიბრალე წამებული შენი შვილი!. დაიმალე, ნუ მოხვალ!.. წაიყვანე ეგეც, ნინოც! ნურც მაგას შემოიყვან, წადი, წადი!. ნინო, ნინო, დედი, წადით, წადით!.. აი, მუხლ მოდრეკით გევედრებით!! ვერახედავთ, რა მდუღარებას ვაფრქვევ!! წადით, წადით!..

„ახ, არ გეყურებათ!. მოსდიხართ!.. ღმერთო!.. დაბრმავდი, გონების თვალო, დაჩლუნგდი, გონებავ!..

„გული მაინც დამალეთ!.. არ მინდა თქვენ გულს შევეხო... თქვენი საიდუმლო გავიგო...

„მინდა, ეგ ორი გული მაინც არ ვიცოდე!.. ეგ ორი გული მაინც მაკავშირებდეს ადამიანთან. მინდა ადამიანის გულ-წრფელობა მწამდეს!.. მაგრამ...

„ააახ, ხა, ხა, ხა!... თქვენი გულიც მეშლება თვალწინ!...

„არ მინდა არა, არა და არა!.. დაჩლუნგდი, გეუბნები, გონებავ!... თვალო, დაბრმავდი!... ადამიანის გულ-წრფელობა მინდა მწამდეს, მინდა!.. არ ჰჩლუნგდები!! ეპოტინები მაგ ორ გულსაც? ძალად დაგაჩლუნგებ, დაგაბრმავებ!. ნებას არ მოგცემ შეეხო მაგ ორ გულს, ჩემს წმიდათა წმიდას...

„აი, ეს დამბაჩა მოგიღებს ბოლოს!..

„ჰაა!.. დედი... ნინო... მშვიდობით!..

— შვილო, რა დაგემართა!.

— ჰა?!.

— საშინლად ჰბორგავდი, სტიროდი.

— დედი, შენ?!. ნინო?!.

— ჰო მე. ვიღა ნინო?

— გენაცვა დედი, დედი!.. სიზმარი ყოფილა!...

— ჰო, ძილში სტიროდი!..

— გმადლობ, უფალო, გმადლობ!.. სიხარულის ცრემლის ფრქვევით წამოიჩოქა ლოგინში და მხურვალედ უფალს მადლობა შესწირა, რომ სიზმარში ყოფილა გულთა-მხილავი და არა ცხადად.

შ. არაგვისპირელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივს დრო გამოშვებით გამოცემებშიაც იქმნენ დაბეჭდილნი.

§ 55. საზოგადო კრების მიერ ან გარიშის დამტკიცების შემდეგ, წლიურ წმინდა მოგებიდგან, ე. ი. იმ თანხიდგან, რომელიც უკელა ხარჯებსა და ზარალს მორჩება, 10% სათადარიგო თანხად გადაიდება, შემდეგ გადადებული იქმნება წილის დივიდენდი ისე და იმ რიგად, რომ წლიურად თითო მანეთს 10% მეტი არა ჭხვდებოდეს სარგებლად. ხოლო დანარჩენი თანხა, რომელიც გამგეობის წევრთა შორის სარგებლის განაწილებას მოჭრჩება, საზოგადო კრების (§ 41) დანიშნულებისამებრ საზოგადოების წევრთა შორის იქმნება განაწილებული თანაზრად იმ ნავაჭრისა, რომელიც თითოეულს მათგანს წაუღია წლის განმავლობაში საზოგადოების სახელოსნოებიდგანა და საწყობებიდგან.

შენიშვნა 1. საზოგადო კრებას უფლება აქვს ერთი ნაწილი მოგებისა უკელა წევრთათვის სასარგებლო რამ საქმეს მოახმაროს (§ 1 შენიშვნა).

შენიშვნა 2. როდესაც სათადარიგო თანხა საწილო თანხის ოდენი გახდება, საზოგადოების მოგებიდგან სათადარიგო თანხას აღარაფერი მიემატება, რასაკვირველია, თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა. მოგებიდგან ერთის ნაწილის სათადარიგო თანხაში გადადება კვლავ სავალდებულოდ ხდება მას შემდეგ, რაც-კი ამ თანხას კვლავ მოაკლდება რამე.

შენიშვნა 3. დივიდენდი მხოლოდ სრულს წილის ფულზედა და სრულს თვეებზედ ითვლება.

შენიშვნა 4. წევრის ხვედრი დივიდენდის კაპეიკის ნაწილები სათადარიგო თანხას ემატება.

§ 56. დივიდენდი ეძლევათ საზოგადო კრების მიერ გამგეობის ანგარიშის დამტკიცების შემდეგ სამის თვის განმავლობაში.

§ 57. თუ დივიდენდის პატრონი მოისურვებს, ხვედრს დივიდენდს საზოგადოების კასაში დასტოვებს, რომ ამ ფულით ახალი წილის ფული შესდგეს. თუ რომ დივიდენდს ზემოდ აღნიშნულ §-ის ვადამდე არ გაიტანს პატრონი, ფული კასაში რჩება ახალის წილის ფულად.

შენიშვნა. თუ რომ საწილო თან... თანხმად საზოგადოების დადგენილისა, § 14-ში აღნიშნულ რაოდე...მდე მიაღწევს და ფულს მაინც არ ...ანს პატრონი, მაშინ ამ მოჭარბე... ფულს სარგებელი არ მიეცემა.

(დასასრული იქმნება)

---

# ახალი ამბავი

—

მის მაღალ ყოვლად უსამღვ...ესის საქართველოს ეგზარხოს ...ლადიმირის ნება-დართვით და ...ვა-კურთხევით გაიმართა ხელის...რა მთაწმიდის მამა დავითის ეკ...იასთან სამრეკლო ნიშის აგების ...გებლოდ.

... ქალაქის გამგეობამ ერთი ნა... კრედიტისა, რომელიც შავ...ან საბრძოლველად იყო გადადე...ო, მოსკოვს გაგზავნა და გ. ...ტისაგან უწმინდურობის ორმოე...მოსაწმენდი მანქანა გამოიწერა. ამ ...ეს მანქანა უკვე მიიღო ქალაქმა და ...ს შემდეგ ქალაქის მცხოვრებთ შეუძლიანთ მიჰმართონ ხოლმე ქალაქის გამგეობას და ამ მანქანით ამოაწმენდინონ ხსენებული ორმოები. ეს საშუალება იმითია კარგი, რომ სუნი სრულიად არა ვრცელდება, რაიცა, ეჭვი არ არის,—ჩვენის ქალაქის მცხოვრებთათვის დიდი ბედნიერებაა.

*** შაბათს, 28 თიბათვეს, ქალაქის გამგეობამ განკარგულება მისცა სავაჭრო სამეურნეო პოლიციას რომ აგენტებმა ყური უგდეთ ხილის გამსიყიდველებს და დაავალეთ, თავიანთს ხილის თაბხებს თხელი გადასაფარებელი, მარმაში ანუ სხვა ამგვარი გაუჩინონ, რომ ბუზი არ ეკარებოდეთ. ეს განკარგულება საექიმო-სასანიტარო ინსპექტორის მოხსენების თანახმად არის გაცემული.

*** გუშინ, 28 თიბათვეს, ავლაბრის ძველი ტანისამოსის გამყიდველებმა უცნაური თხოვნა მიართვეს ქალაქის გამგეობას. ავლაბარში სადეზინფექციო სადგური გაგვიმართეთო, ან როდესაც საჭირო იქნება პოლიციის მეშვიდე ნაწილში მოიტანეთ ეს სადგური, რომ ტანისამოსს დეზინფექცია ვუყოთო. ამათ ეს სადგური ბურნუთის კოლოფი თუ ჰგონებიათ, რომლის აქეთ-იქით მიტან-მოტანაც ადვილად შეიძლება.

*** 13 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის განყოფილება, რომელიც შესდგება თავმჯდომარის სასამართლოს წევრის ი. ო. პარჩევსკისა, წევრის ა. ვ. პადალკოსა და ბრალმდებელის ამხანაგის ა. გ. რიბინისაგან, გორში წავა სხვა-და-სხვა საქმის გასარჩევად. სესია გორში ორ დღეს დაჰყოფს და მოისმენს ტუსაღთა სხვა საქმეს.

*** ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ კახეთის რკინის გზის გამოსაკვლევად წავიდა კახეთში ინჟენერი რომანოვი. ეხლა გზათა მინისტრი ატყობინებს კავკასიის მთავარ-მართებელს, რომ სამინისტრომ ამ საქმისათვის 33,000 მან. გადასდო და სთხოვს მთავარ-მართებელს განკარგულება მოახდინოს, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დახმარება გაუწიოს როგორც ინჟენერს რომანოვს, აგრეთვე ყველა იმათ, ვინც ამ საქმისათვის არის გაგზავნილი, სახელდობრ—დასის უფროსს ტ. ს. ვოზნესენსკის და იმის თანაშემწეს კ. ს. ოსტაშევს.

*** 28 ივნისს 1897 წ. ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში გასასყიდად იყო დანიშნული სოფლის მამულები და ჩავარდა სავაჭროდ სულ რკა მამული, რომელთაგან გაიყიდა ოთხი და დარჩა ხელ-მეორედ გასასყიდად, 14 ივლისისთვის, ოთხი მამული.

*** გუშინ, 28 თიბათვეს, ქალაქის მკვიდრთა გამგეობამ ქალაქის გამგეობას ქაღალდი მიართვა იმის შესახებ, რომ ჩვენს საზოგადოებაში აღარ მივიღებთ ქალაქის მკვიდრს ტიგრან ბეგლიაროვს, რომელიც სასამართლოსაგან გამტყუნებულ იქმნა ქურდობაშიო. ქალაქის გამგეობამ განიხილა ეს ქაღალდი, სამართლიანადა სცნო იგი და ტფილისის გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად.

*** განსვენებულს ლ. ს. ისარლიშვილს, ქართულის ენის ცენზორად ნამყოფს, აუარებელი ხელთ-ნაწერი დარჩენია თურმე კავკასიის შესახებ. ამ ხელთ-ნაწერის მცირედი ნაწილი დაბეჭდილი ყოფილა რუსულ გაზ. „კავკაზში“, ხოლო დანარჩენი ჯერ არსად დაბეჭდილა. ეხლა მემკვიდრეებს აზრადა აქვთ ცალკე გამოსცენ განსვენებულის თხზულებანი. პირველი ტომის გამოცემას უკვე შესდგომიან, რომელშიაც შემდეგი სტატიები იქმნება დაბეჭდილი: 1) რუსების მიერ არზრუმის აღება; 2) ოსმალეთის საქართველოს საზღვრები; 3) მგზავრების შენიშვნები; 4) ახალციხის მაზრა, ეტნოგრაფიული მიმოხილვა; 5) ტფილისელის მოგონებანი; 6) საქართველოს გუბერნატორად ნამყოფის თავ. ფალავანდიშვილის ნაამბობი; 7) ბატონ-ყმობა იმერეთსა და გურიაში; 8) შავის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაპირების დასახლების შესახებ; 9) ქრისტიანობის ნაშთნი ოსმალეთ საქართველოში; 10) მოკლე ისტორიული მიმოხილვა საქართველოში 1801—1831 წლამდე და მრავალი სხვა.

*** რადგანაც ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში ძალიანაა გავრცელებული სისხლის ძიება, ქუთაისის გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია, რომ მაზრის უფროსებმა ყოველი ღონე იღონონ ხოლმე გადამტერებულთა შესარიგებლად.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ“.-ს სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტროში აღძრულია განსახილველად ის საგანი, რომ შემუშავებულ იქმნას ერთგვარი სამსახურის უფლებანი იმ თარჯიმანებისათვის, რომელნიც მომრიგებელ-შუამავლებთან არიან.

---

## წერილი ქსნის-ხეობიდგან

წელს არა სასიამოვნო გაზაფხული დაგვიდგა: „წითელა“, „ყვავილი“ და საქონლის ავადმყოფობა; წყალ-დიდობა, რომელმაც ავადმყოფობაზედ არა ნაკლები ზარალი მოგვცა, ქარები, ანიკებული წვიმა და სეტყვა—ერთი ერთმანერთს ეცილებოდა, რომ ჩვენთვის სასიკვდილო ცელი მოესვათ და რაც ერთმა დაგვაკლო, მეორეს აესრულებინა ჩვენის განადგურების ანდერძი. ყველა ამის მაყურებლის გული სივდება, მაჯა ეყინება და ჰგოდებს, რომ ეს ამოდენა ხეობა (ქსოვრის-ხევით), 2,500 კომლით დასახლებული, მშვენივრად შემკული და ბუნებისაგან მდიდრად დაჯილდოვებული, უპატრონობით ოხრდება და სულს ებრძვის.

ბუნების სტიქიონის წინააღმდეგ კი რა საშველი მოხერხდება, მაგრამ ჩვენ სხვა გვაქვს სატირელი, ჩვენა გვსურს „კულტუროსანთა“ ხალხზედ ჩამოვაგდოთ ლაპარაკი და უპატრონობასაც იმათი თავში ცემით ვჩივით, თუმცა ჩვენ ხეობაში არიან ისეთნი, რომლებსაც შველა შეუძლიანთ, თუ მოისურვეს. მათ შორის თვით სოფლის პოლიციის მოხელეებშიაც არიან ბევრნი, ცხოვრებაში გამოცდილნი, შემძლენი, ნასწავლნიც, მაგრამ უძლურნი.

თუ შავ ჭირს შეუძლიან სამ დღეს წუთი-სოფელს გამოგვასალმოს, მით უფრო შეღავათია ჩვენთვისაო, ამბობენ ქსნელები „დავიხოცებით და მოვისვენებთ საუკუნოდო“. დღე მუდამ ქსნელების გოდებას შეადგენს ათასგვარ მოვლენათაგან განადგურება, უსუფთაოდ ცხოვრება, სიღარიბე და სიღატაკე და აქედგან წარმოშობილი ათასგვარი სხვა-და-სხვა ავადმყოფობა და სხვა.

მაგრამ, როდესაც ახალგორელი თუმანზედ ერთ კოდ პურს მართმევს სარგებელს, როდესაც მისგან აღებულ ვალს სარგებელის სარგებელი ათშაურობაზე ემატება—ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა მიწასთან სწორდება. ბევრ გლეხს ხუთი თუმა-და მეტიც ჰმართებს და წელს კალოზედ თხუთმეტი კოდი მარტო სარგებელი შეხვდება ქერი და პური. ცხადია, გლეხი ეკონომიურად წელს სრულიად დაეცემა, რადგან სეტყვისაგან განადგურებულს 15 კოდი ძლივს გამოუვა. ამის შემდეგ ზნეობრივი მხარე ნებას არც-კი გვაძლევს ვურჩიოთ და ძალა დავატანოთ: სუფთად იცხოვრე, სენი არა გაავრცელო-რაო, რადგან იგი გლეხი სახლში არც-კი დგება და ლუკმა პურის მოსაპოებლად აქა-იქ დაწანწალებს.

მართალია, ქსნელები არც ისე ღატაკები ვართ, რომ ქერისა და პურის გარდა არა გვქონდეს-რა, მაგრამ რა გამოვიდა! იქაც ახალგორელი ისეთ სარმას გვიგდებს ხოლმე, რომ კაი მოჭიდავე გრდანელიც-კი ფეხზედ ვერ გაჩერდება. მე მოგახსენებთ სხვა-და-სხვა ნაწარმოებზედ, როგორც, მაგალითად, ღვინოა, მატყლი და ყველი. ღვინოს ახალგორელი იკვეთს კოკას სამ მანეთად მაშინ, როდესაც რთველში უკანასკნელი ფასი რვა მანეთია. ხოლო მატყლს და ჯველს-კი სცვლის მარილსა, ან პურზედ. გლეხი ნება უნებლიედ თავისსავე პურში კოდზედ აძლევს 2 ფუთ ყველს, რომელიც ადგილობრივ ფუთი 5 მ. ღირს და პური-კი 3 მან. ან მარილს უცვლის პირდაპირ: ფუთ მარილში—ფუთი ყველი. ფუთი მარილი-კი ახალგორელს თან მოტანით ტფილისიდან უჯდება არა უმეტეს 90 კაპ., აქედან წარმოიდგინეთ, მკითხველო, წელს ქსანზედ რა ცეცხლი ტრიალებს...

ქსნის ბოქაულის გამოკვლევით, დასეტყვილ სოფლებს 50,000 მანეთის ზარალი მოუვიდათ. წელს გვმართებს გულ-შემატკივრობა ხეობის წარმომადგენელ თავად-აზნაურობას, მღვდლებს, პოლიციას და ყველას, ვისაც კი მოგვეპოვება ცოტაოდენი ზნეობა და განათლება.

ყოველთ უწინარეს ადგილობრივ პოლიციას ვალი სძევს შეიარაღდეს მეთოკე ჩარჩების წინააღმდეგ და დაიცვას კანონის უცვალებელი ბრძანება: მოხდეს გამოძიება, რომელ მოვალეს ვისი რა ჰმართებს და რამდენი კოდი უნდა მისცეს მომავალ კალოზედ რომელ ვაჭარს. ადგილობრივმა ინტელიგენციამ გამოძიებას ხელი უნდა შეუწყოს. პოლიციამ ვაჭრები უნდა დააკმაყოფილოს 10%-ტით და რომელსაც მოვახშეობა ხელობად გარდაქცევია, მისცეს პასუხის-გებაში სამართლის წინაშე, რომ შემდეგისათვის ვაჭარი სინდისიერად მოიქცეს და მადას უკლოს. ამით დიდი შველა მიეცემათ, როგორც დაზარალებულთ, აგრეთვე საზოგადოდ ქსნელებს და, ჩვენის აზრით, მოვიშორებთ რა „შავ ჭირს“, სულს მოვიდგამთ.

ვინც-კი მოგვეპოვება მეტად ღატაკი—სეტყვისაგან გათახსირებული და „შავის ჭირისაგან“ დაუძლურებული, ამოვირჩიოთ ერთი ორი კაცი ქსანზედვე, მოვკრიფოთ პური, ღვინო და ფული, მივაწოდოთ მათ ჩვენი წვლილი, ვინაიდგან „შველა უნდა უღონოსა და დავრდომილს“.

უნდა აღვნიშნო ბარე, რომ საქმეს დაყოვნება არა სჭირია, რადგან ვაჭრები მომავალ კალოობას (2 კვირის შემდეგ) კალიასავით დაესევიან და (ჩვენში-კი დარჩეს) ნაარმევით მელასაებ ყელს ჩაიტკბანურებენ. გლეხკაცი ისე სასტიკად მოწყდება წელში, რომ შემოდგომაზედ, მეტი ღონე არ არის, სისხლზედ შედგება საქმე. ამას წარსულის კვირის მაგალითი გვიჩვენებს.

შემოდგომაა „ღალების“ და გლეხზედ გარდასახადთა აკრების დროც. ხოლო ჩვენის ხეობის იმ წევრთა, რომელნიც სულითა და გულით გაღატაკებულნი ფარაონის გამხდარ ძროხებ დამსგავსებიან, უნდა კუჭს უკლონ და სულით გამდიდრდნენ. მაშინ ყველა შევიგნებთ ხალხის დახმარებას: საერთოდ ვეცდებით გავხდეთ წევრნი მაჩხაანის დეპო-ბანკისა, რომლის განყოფილებაც, შეიძლება, საერთო ძალით, ქსანზედაც დაარსდეს, რომ სამუდამოდ ვიხსნათ თავი „ჩარჩების“ მტარვალობისაგან.

მოხევე

---

# რუსეთი

—

შარშან ქ. ვარშავაში დაარსდა დედათა საკომერციო კურსები ქ-ნის სმოლიკოვსკისა. წელს ამ სასწავლებელში 100 ქალზედ მეტი სწავლობს.

— მოსკოვის ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს გამართოს კანტორა, რომელსაც საგნად ექმნება სამსახური და ადგილი უშოვნონ გაჭირვებულს კაცს. ამ გვარი კანტორა აუცილებლად საჭიროა ისეთის დიდის ქალაქებისთვის, როგორც მოსკოვია და პეტერბურგი. მთელის რუსეთის იმპერიიდგინ მიდის ხალხი ამ დიდს ქალაქებში და ხშირად ვერაფერი საქმე და სამსახური ვერ უშოვნიათ. მართალია, მოსკოვშიაცა და პეტერბურგშიაც დიდი ხანია არსებობს კანტორები, მაგრამ ამ კანტორებს საგნადა აქვთ მხოლოდ ხელზედ მოსამსახურეთათვის და მზარეულებისთვის ადგილების შოვნა. ეს კანტორები მხოლოდ ფულის მოგებისთვის არიან დაარსებულნი და ისე იქცევიან, რომ ყველა ემდურება.

— მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში წელს სწავლა დაუმთავრებია 16 სტუდენტს. სამს ამათგანს საინჟენერო განყოფილებაში დაუმთავრებია სწავლა და ცამეტს—სასოფლო-მეურნეობისაში. ყველანი უნივერსიტეტების კანდიდატები არიან.

— უმართებულესმა სენატმა გამოაცხადა, რომ იმ ებრაელთ, ვისაც პროვიზორის მოწმობა აქვს, ნება ეძლევათ იცხოვრონ მთელს რუსეთის იმპერიაში, აგრეთვე ყუბანისა და თერგის ოლქებში, სადაც ებრაელთ საზოგადოდ აკრძალული აქვთ ცხოვრება.

— საფრანგეთის ერთს საუკეთესო ქარხანას განზრახვა აქვს გაჰმართოს პეტერბურგში შამპანიის ღვინის ქარ

ხანა. ქარხანას საკუთარი ვენახები ექმნება ან ყირიმში ან საქართველოში.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის გაზეთებში დიდი მითქმა-მოთქმაა პრეზიდენტის ფორის რუსეთში წასვლის შესახებ. როგორც ხალხი, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთები დიდს აღტაცებაში არიან რუსეთის იმპერატორის წერილით, რომლითაც მან საფრანგეთის პრეზიდენტი ფელიქს ფორი მიიპატიჟა რუსეთში.

ის ხმები, ვითომც პარლამენტის ზოგიერთი წევრები წინააღმდეგნი იქმნებიან პრეზიდენტის რუსეთში გამგზავრებისა და ამ გამგზავრებისათვის საჭირო თანხის გადადების უარს განაცხადებენო — არ გამართლდა. პირ-იქით პარლამენტი დიდის ტაშის ცემით მიეგება რუსეთის იმპერატორის წერილის წაკითხვას და ერთხმად გადასწყვიტა, პრეზიდენტის წასვლისათვის საჭირო თანხა, 500 ათასი ფრანკი გადასდოს. ეხლა ჟურნალ-გაზეთები იმის განხილვა-განსჯაში არიან, ვინ წავლენ პრეზიდენტთან ერთად რუსეთში. ოფიციალურად ეს საგანი ჯერ გამოცხადებული არ არის და ზოგი ვის ასახელებს და ზოგი ვის. ჯერ კიდევ იმაზედ დიდი მითქმა-მოთქმაა, შეხვდება თუ არა საფრანგეთის პრეზიდენტი გზაში ან თვით პეტერბურგში გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს. ამ საგნის შესახებ გაზ. „Echo de Paris“-ში საინტერესო ამბებია დაბეჭდილი. გაზეთის სიტყვით პარიჟში კარგა ხანია გადაწყვეტილი იყო ფელიქს ფორის რუსეთში წასვლა, ხოლო ოფიციალურად არ აცხადებდნენო. იმპერატორმა ვილჰელმა გაიგო რა ეს ამბავი, პეტერბურგში წერილი მისწერა, რომელშიაც პრეზიდენტ ფორთან შეხვედრის სურვილს აცხადებდა თურმე. რასაკვირველია, ეს ამბავი საფრანგეთის ელჩს პეტერბურგში გრაფ მონტებელლის არაფრად ეჭაშნიკა და მყის პარიჟში გაჩნდა ფორთან მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკების შემდეგ განგებ გამოაცხადეს, რომ პრეზიდენტის რუსეთში წასვლა ჯერ გადაწყვეტილი არ არისო. იმპერატორმა თავისი არ დაიშალა და ახლა გზაში შეხვედრის სურვილი განაცხადა თურმე, მაგრამ პარიზში ახალი ხმები გაავრცელეს, რომ ფელიქს ფორი ოდესით წავაო რუსეთში და, მაშასადამე, იმპერატორი ვერსად ვერ შეხვდებაო. ამ რიგად, ამბობს გაზეთი, იმპერატორს ვილჰელმს გზა დაუბნიეს და ფელიქს ფორთან შეხვედრის ყოვილივე იმედი დაუკარგესო.

**საბერძნეთი.** გაზეთ „Standard“-ს ათინიდგან დეპეშით ატყობინებენ: „აქ ხმა გავრცელდა, ვითომც ცალკე კომისია უნდა შესდგეს გერმანიის და საფრანგეთის მფარველობით, რომელმაც უნდა განაგოს საბერძნეთის ზოგიერთი შემოსავალ-გასავლის საქმე. აგრეთვე ამავე კომისიის თავმდებობით იქმნება აღებული სესხი სამხედრო ჯილდოს გასასტუმრებლად და ძველი ვალის გადასახდელად. მაგრამ საბერძნეთის მთავრობა ჯერ-ჯერობით თანახმა არ არის ასეთს წინადადებაზედ, ვიდრე არ გამოაშკარავდება სამხედრო ჯილდოს რაოდენობა. გარდა ამისა, მთავრობის აზრით, ძველი ვალის გასტუმრებას არავითარი კავშირი არა აქვს ახალ ვალთანაო.

— გაზ. „Time-s“ ში ვრცელი კორესპოდენციაა დაბეჭდილი ათინიდგან საბერძნეთის საქმეების შესახებ. სხვათა შორის ამ კორესპონდენციაში დაწვრილებით არის განხილული ის, თუ ვის ედება ბრალი საბერძნეთის დამარცხებაში და ზავის შეკვრის შემდეგ ვინ იქმნება მიცემული პასუხის გებაში. კორესპონდენტის აზრით უპირველესი დანაშაული სამშობლოს წინაშე მინისტრ პრეზიდენტად ნამყოფს დელიანის მიუძღვის. იმან ვერც საკმაო ჯარი შეკრიბა თურმე, თუმცა შესაძლებელი იყო, და ვერც შესაფერად მოაწყო იგი. დელიანისი იმით მართლეულობს თავს, რომ თოფები აღარა გვქონდაო, მაგრამ ეს ვერაფერი გამამართლებელი საბუთია, საკმარისი იყო ერთი მილიონი ფრანკი გადაედო ამ საქმისათვის და 200.000 თოფს შეიძენდაო. შემდეგ დანაშაული, გაზეთის სიტყვით, ჩუმ საზოგადოებას „Ethnike Hetairia“-ს მიუძღვის, რომელმაც უმიზეზოდ ააღელვა და ააშფოთა ხალხიო. ამ საზოგადოებას მხოლოდ თავის საკუთარის მიზნის განხორციელება უნდოდა და სამშობლოს ბედიღბალს და მომავალს ყურადღებას არ აქცევდა. ყველაზე ძალიან ამ საზოგადოების ზოგიერთი წევრები დაისჯებიანო, დასძენს კორესპონდენტი.

## დამაკვირდი

ისიც, რასაც ქალები მეგობრობით გვიწყალობებენ ხოლმე, სიყვარულისაგან არის ნასესხი.

საფირის ლექსიკ.

* * *

იჭვნეულობას სარჩულად ერთი ნაწილი სიყვარულისა უდევს და ოთხმოცდა-ცხრამეტი თავ-მოყვარეობისა.

ლაროშფუკო

* * *

ომი ფულსა სჭამს და სისხლსა სვამს.

რუსული ანდაზა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჩრდილო ამერიკის ერთს შტატში ერთხელ მლაშე წვიმა მოვიდა და იმდენი მარილი მოჰყვა თურმე, რომ როდესაც მინდორსა და გზაში დარჩენილთა ტანთსაცმელი გაშრა, სულ გათეთრებული იყო მარილისაგან. სახლების ფანჯრებს იმდენი მარილი დაედო, რომ სახლიდგან აღარაფერი სჩანდა. გამოიანგარიშეს, რომ ინგლისურ ერთის მილის მანძილზედ 183 ფუთი მარილი ჩამოჰყოლია წვიმას.

* * *

ამერიკის ერთი გაზეთი სწერს: მდინარე კანადამ ერთ გვარი თევზი იცის, რომელიც ისე მსუქანია თურმე, რომ ადგილობრივნი მცხოვრებნი სანთლის მაგიერად ხმარობენ. გაახმობენ თევზს, კანს გააცლიან. თავს მოსჭრიან. ჩასდგამენ შანდალში და აანთებენ თევზი ისე იწვის, როგორც წმინდა სანთელი. თევზის ალი მოყვითანო-წითელის ფერისაა და მშვენიერად ანათებს სახლს. კანადას მცხოვრებნი თურმე სულ ამ თევზსა ჰხმარობენ სახლების გასანათებლად.

* * *

ხორვატიაში ამას წინად მოუკლავთ ერთი დიდი არწივი და ყელზედ უნახავთ რკინის რგოლი, რომელსაც 1646 წელი აწერია. სჩანს არწივს კიდევ 250 წელს უცოცხლია მას შემდეგ, რაც ყელზედ რკინის რგოლი გაუკეთებიათ.

* * *

ახლად გამოგონილ ლითონის ალიუმინისაგან ძლიერ ბევრ ნივთებს აკეთებენ. ამ ლითონის ღირსება ის არის, რომ მეტად სუბუქია. სხვა ნივთებს გარდა ალიუმინისაგან ეხლა გიტარებსა და სხვა საკრავებს აკეთებენ და ამბობენ, ალიუმინისაგან გაკეთებულს საკრავს უფრო კარგი და სასიამოვნო ხმა აქვს, ვიდრე ხისაგან გაკეთებულს საკრავსაო.

* * *

პარიჟის გაზეთები სწერენ, რომ ერთი კაცი, გვარად ბერტსონი თავისს ძაღლს ლაპარაკს ასწავლისო. ბ-ნი ბერტსონი პარიჟის მახლობლად სცხოვრობს, წმ. ანტონის უბანში. ბერტონის ძაღლი მკაფიოდ ამბობს: „მამა“, „დედა“ და ზოგიერთ სხვა ადვილად გამოსათქმელ სიტყვებს.

* * *

მკურნალები ბ-ნნი ვიდალი და სიკარი ამტკიცებენ, რომ შავის სახადით ავადმყოფისაგან აღებულ სისხლში მთელი ოთხის თვის განმავლობაში სცოცხლობს სახადის ბაცილაო და ამიტომ ამ ხნის შემდეგაც შეიძლება სხვას გადაედოსო. ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება დიდის სიფრთხილით მოექცნენ მკურნალები და სანიტარები სახადიან ავადმყოფის ავეჯსა, ნივთებსა და ტანთ-საცმელს და ბეჯითად მოახდინონ ხოლმე დეზინფექცია.

* * *

რომის ერთს მკურნალს გვარად გარლის დაუწერია შემდეგი რჩევა დარიგება, რომელიც მხედველობაში უნდა იქონიოს ყველამ: ა) ეცადეთ, ყოველ დღე ერთსა და იმავე დანიშნულ დროსა სჭამოთ საჭმელი. ბ) თუ კაცს მადა კარგი არა აქვს და ამასთან სუსტის აგებულებისაც არის, მხოლოდ მაშინ უნდა სჭამოს საჭმელი, როდესაც მოშივა, ცოტ-ცოტა და ხშირად. გ) ჭამის დროს აჩქარება არვარგა, თითოეული ლუკმა რაც შეიძლება კარგად უნდა დაიღეჭოს. დ) ცხელის საჭმელის ჭამამდე ცივი არაფერი დალიოთ, აგრეთვე ცივი სასმელი არ დალიოთ, ცხელის საჭმელის შემდეგ. ე) საუზმისა, სადილისა და ვახშმის შორის სულ ცოტა 3—4 საათი უნდა გავიდეს, რომ კუჭმა წინანდელი საჭმელი მოინელოს. ვ) ჭამის შემდეგ კარგია შესჭამოთ ერთი ნაჭერი პურის ქერქი. ეს კუჭს მონელებასაც ჰშველის და გარდა ამისა კბილებსაც კარგად სწმენდავს. ზ) ძლიერ ცუდია პურის ჭამას შეუდგეს კაცი, როდესაც ცუდს გუნებაზედ არის ან ძლიერ დაღლილია სიარულით. ჰ) პურის ჭამის დროს მავნებელია წიგნის კითხვა და საზოგადოდ ფიქრი. თ) ეცადეთ პური სჭამოთ თქვენთვის სასიამოვნო და მხიარულ ხალხთან და მხოლოდ სასიამოვნო საგანზედ ილაპარაკოთ ჭამის დროს. ი) ძალზედ გაძღომა კარგი არ არის, საკმარისია მხოლოდ სიმშილი მოიკლათ. კ) არაოდეს არა სჭამოთ ის საჭმელი, რომელიც არ გესიამოვნებათ. ლ) ერიდეთ ჩხუბსა და უსიამოვნო ლაპარაკს ჭამის დროსა და შემდეგაც, რადგანაც ჩხუბი და უსიამოვნება ძლიერ მავნებელია კუჭისთვის.

## „ივერიის“ ფოსტა

**ს. ც—რი. ი. გ—ნს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. მოგიშორებიათ და მადლობა ღმერთს, რაღა დაცინვა უნდა და საყვედური?!

**უ. იპპოლისელს.** რედაქციას კერძო მიწერ-მოწერისათვის დრო და მოცალეობა არა აქვს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**გ. წ—კიძეს.** თქვენს წერილს სოფლის მასწავლებელთა მოუმზადებლობის შესახებ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერა ვბეჭდავთ.

**ვაჭართაგანს,** უსახელო ავტორის წერილებს რედაქცია არა ჰბეჭდავს.

**ძ. ტგ—ი. ე—გს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ჯ—ლს.** თქვენი ლექსი „ვარდი და ბულბული“ არ დაიბეჭდება.

**სამადნო წყალი ი. მ—ძეს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**სოფ. სამება. ნ. ბ—ძეს.** ეგ საგანი კავკავში გალობის შესახებ საკმაოდ გამოირკვა და საჭიროდ აღარა ვთვლით თქვენის წერილის დაბეჭდვას.

**დ. სა—რე. ი. პ. ნ—ძეს.** თქვენს წერილს ვერ დავბეჭდავთ.

**ტეხურის-პირელს.** მაგ შინაარსის წერილები ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი და ეხლა განმეორება ნათქვამისა საჭიროდ აღარ მიგვაჩნია.

**ზემო არაგვისპირელს.** შეგვატყობინეთ თქვენი ვინაობა.

**ქ. ქ—სი. მ. მ—ანს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ქ. ქ—ვი. მ. ბ—ძეს.** ეგ შეცდომა სწავლა დამთავრებულ ექიმ-სტუდენტთა შესახებ უკვე გაასწორა „ცნობის ფურც.“-მა, რაც შეეხება დანარჩენს თქვენს თხოვნას, უკეთესი იქნება, რომ თითონ „ცნ. ფ.“-ის რედაქციას მიჰმართოთ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 ივნისი.

**მოსკოვი.** სიამის მეფე და პრინცები პეტერბურგს დაბრუნდნენ.

**ლონდონი.** „ტაიმსს“ ატყობინებენ კანეიდგან, რომ წარსულს ოთხშაბათს კანდიის მაჰმადიანნი სოფ. პისკოპას თავს დაესხნენ და გაძარცვესო; ოთხი ამათგანი მოკლულ იქმნა, ექვსი დაჭრილია.

**სტოკჰოლმი.** 27 ივნისს გამოფენის ადმინისტრაციამ დღესასწაული გადაიხადა დიდის მთავრის ვლადიმირ ალექსანდრეს ძისა და დიდის მთავრინა მარიამ პავლეს ასულის მოსვლისა გამო გამოფენის სანახავად.

**კონსტანტინეპოლი.** ელჩებმა პორტას ნოტა წარუდგინეს, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ საზღვრების გაყვანის შესახებ ყველა სახელმწიფო ერთის აზრისა და ერთმანეთის თანახმანი არიანო.

უკანასკნელის ორის დღის განმავლობაში ჯედდაში არც ერთი ადამიანი არ მომკვდარა შავის ჭირით.

**ვენა.** იმპერატორს ფრანც-იოსებს დეპეშა გაუგზავნა სულთანმა; იგი იმპერატორის კეთილს-მეზობლურს გრძნობათ ენდობა და იმედოვნებს, რომ თესალიაში სამზღვრების გაყვანის საქმეში იმპერატორი ოსმალეთის მოთხოვნილებათ როგორმე დააკმაყოფილებს. იმპერატორმა ფრანც-იოსებმა ამაზედ ის პასუხი მისცა დეპეშითვე და იმას ურჩევს, რომ თვით ოტომანის იმპერიის სასარგებლოდვე რაც შეიძლება საბერძნეთთან მალე გაათავოს მორიგებით საქმე იმ რიგად, როგორც მას ყველა სახელმწიფონი ურჩევენ.

პეტერბურგის ბირჟა, 27 ივნისა

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 206 1/4 |
| 4 1/2% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 97 1/4 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | — „ |
| % პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 284 3/4 | — | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 245 1/2 |

# განცხადებანი


## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და მხოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ათვთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო აკანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—127—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ 28 го Юнія 1897 г

სტამბა ა. ჭარსძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.